ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: „ბანი-2007” (დავით მახარაშვილი)

საფუძველი: 12/13253489-16

მისამართი: რთველაძის ქ. №1

საკ.კოდი: 01.17.12.025.003

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – AR1133497 15.06.2013წ. №729189

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (28.09.13) დადგინდა:

„11-1” ფასადზე ცოკოლზე შეცვლილია ფრამუგების გაბარიტები და ადგილმდებარეობა, ზოგი მათგანი შეუმინავია. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია კიბეების და ბაქნების კონფიგურაცია. 11-11 ღერძთან ტერასაზე მოწყობილია შუშაბანდი. 11-10 მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. 10-9 მონაკვეთში კიბეზე მოწყობილია პანდუსი. +7.00 ნიშნულზე 8-7 და 6-5 მონაკვეთებში აივნების ძირებზე არ არის მოწყობილი კარნიზები. +23.50 ნიშნულზე 11-10 მონაკვეთში საჩრდილობლის მოწყობა არ არის დასრულებული. +23.50 და +26.80 ნიშნულებზე 7-6 მონაკვეთში ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვთ ადგილები, 26.80 ნიშნულზე გაზრდილია აივანი. +30.40 ნიშნულზე 10-8 მონაკვეთში შეცვლილია კედლის მოპირკეთება და შეცვლილია საჩრდილობლების კონფიგურაცია, 10-9 მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. 6-5 მონაკვეთში არ არის მოწყობილი კარი, 5-3 მონაკვეთში შეცვლილია შუშაბანდის და მისი გადახურვის კონფიგურაცია, 3-2 მონაკვეთში გაზრდილია ფანჯრის გაბარიტები. +34.35 ნიშნულზე 5-4 მონაკვეთში არ არის მოწყობილი მარკიზი და ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი. 3-2 მონაკვეთში +10.30 და +23.50 ნიშნულებს შორის აივნების ქვეშ არ არის მოწყობილი დეკორატიული ელემენტები, შემცირებულია აღნიშნული აივნების გაბარიტები. 1-1 ღერძთან შენობის მთელ სიმაღლეზე კედელი შეწეულია შიგნით.

„1-11” ფასადზე 1-5 მონაკვეთში ცოკოლი გასალესია. 10-11 მონაკვეთში ღიობი შესავსებია. ±0.00 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი, 5-6 მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე, 6-7 მონაკვეთში შებრუნებულია კიბის მიმართულება, შეცვლილია ბაქნის კონფიგურაცია და არ არის მოწყობილი პანდუსი, 8-9 მონაკვეთში ფრამუგების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები, 9-10 მონაკვეთში გაზრდილია კიბისა და პანდუსის სიგრძე. 6-7 და 9-10 მონაკვეთებში კედელი შეწეულია შიგნით, აღნიშნულ კედელში კარის და ფანჯრების ღიობები შესავსებია და ფანჯრებზე მოწყობილია გისოსები, შესასვლელების თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობლები. 6-7 მონაკვეთში +26.80 ნიშნულზე და 9-10 მონაკვეთში +30.00 ნიშნულზე შეცვლილია კედლების და ღიობების კონფიგურაცია. 8-10 მონაკვეთში +34.60 ნიშნულზე შემცირებულია კედლის სიმაღლე. 2-5 მონაკვეთში +34.35 ნიშნულზე ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. 11-11 ღერძის გარეთ +7.00 და +23.50

ნიშნულებს შორის აივნებზე გაზრდილია შუშაბანდის გაბარიტი. 2-5 მონაკვეთი კედელი მთლიანად შესაღებია. ფასადის წინ განთავსებულია ამწე.

„ა-ი" ფასადზე დ-ე მონაკვეთში ცოკოლზე გაუქმებულია ერთი ფრამუგა და ერთს მონაცვლებული აქვს ადგილი. ±0.00 ნიშნულზე ე-ი მონაკვეთში ტერასაზე მოწყობილია შუშაბანდი. გ-ე მონაკვეთში შეცვლილია კიბისა და ბაქნის კონფიგურაცია. ა-ბ მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის გაბარიტი. +26.80 ნიშნულზე დ-ე მონაკვეთში აივანზე დამატებულია ლითონის სვეტი. +30.40 ნიშნულზე დ-ე მონაკვეთში არ არის მოწყობილი ფრამუგა. +34.35 ნიშნულზე გ-დ მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრების გაბარიტები და ერთს მონაცვლებული აქვს ადგილი, ა-ბ მონაკვეთში სამერცხლეებს მონაცვლებული აქვთ ადგილები.

„ი-ა" ფასადზე ცოკოლზე ბ-ა მონაკვეთში შეცვლილია ა/ფარეხის კარის კონფიგურაცია, გაზრდილია ბ-ბ ღერძთან მოწყობილი თაღის სიმაღლე. გ-ბ მონაკვეთში ვიტრაჟი არ არის სრულად შემინული. ი-გ მონაკვეტში ფრამუგებს მონაცვლებული აქვთ ადგილები და შეცვლილია მათი გაბარიტები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია კიბეების და ბაქნების კონფიგურაცია. ბ-ა მონაკვეთში სამი ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ერთი. +10.30 ნიშნულზე გ-ბ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ფერი. +30.00 ნიშნულზე ი-ე მონაკვეთში გაზრდილია ფანჯრის გაბარიტი. ე-ბ მონაკვეთში შეცვლილია შუშაბანდის და მისი გადახურვის კონფიგურაცია. +34.35 ნიშნულზე დ-ბ მონაკვეთში ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი, შემცირებულია ვიტრაჟის გაბარიტი და კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯრის ღიობი, არ არის მოწყობილი მარკიზი. ი-ი ღერძთან შენობის მთელ სიმაღლეზე კედელი შეწეულია შიგნით.

ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები, შეცვლილია მოაჯირების კონფიგურაცია, დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები, გამაცხელებლები, კონდენციონერები. შემცირებულია სავენტილაციო შახტების სიმაღლე და ზოგიერთი მათგანი არ არის გალესილი. +34.35 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების, ფანჯრების და ფრამუგების ფერი.

შენობის შიგნით 6-6 და 7-7 ღერძებზე დამატებულია თითო კოლონა. -3.70 ნიშნულზე ა-ბ და 1-4 მონაკვეთებს შორის შეცვლილია პანდუსის კონფიგურაცია. ა-ბ და 4-5 მონაკვეთებს შორის შეცვლილია კიბის კონფიგურაცია. 2-3 მონაკვეთში გაუქმებულია კიბე, 3-4 და 10-11 მონაკვეთებში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია, ხოლო ე-დ და 10-11 მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია -3.70 ნიშნულზე ჩასასვლელი კიბე. ე-დ და 6-7 მონაკვეთებს შორის არ არის მოწყობილი +3.70 ნიშნულზე ასასვლელი კიბეები. სადარბაზოებში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია, სამანქანოებში ასასვლელი კიბეები არ არის მოწყობილი. +26.80 და +34.35 ნიშნულებზე შეცვლილია მანსარდების გადახურვის კონფიგურაცია. +26.80 ნიშნულზე შემცირებულია გადახურვის ფილის გაბარიტები და არ არის დაკავშირებული კედლებთან. +30.40 ნიშნულზე 9-10 მონაკვეთში არ არის მოწყობილი გადახურვის ფილა. შეცვლილია მინის გუმბათის კონფიგურაცია, და მასში მოწყობილია კარები.

11-1 ფასადის წინ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ხოლო 1-11 ფასადის მხარეს არ არის შესრულებული.

ბ. პაკელიანი

გ. ბაღაშვილი